**საინიციატივო ჯგუფი "ქალების ძალა მაღრაანისთვის"** აცხადებს გამარტივებულ ტენდერს (ფასთა კვლევას) **ბავშვთა გასართობი სივრცის** მოწყობაზე ერთი ხელშეკრულების ფარგლებში (Design-Build მეთოდით).
**საინიციატივო ჯგუფი "ქალების ძალა მაღრაანისთვის"** იწვევს **ბავშვთა გასართობი სივრცის** მოწყობისთვის კომპანიებს, გამოცხადებულ ტენდერში მონაწილეობის მისაღებად. მომსახურების და შესასყიდი პროდუქციის ჩამონათვალის ამსახველი დოკუმენტები თან ერთვის ტენდერის პირობებს, მისი ჩამოტვირთვა შესაძლებელია ამავე ვებ-გვერდიდან.
**სავალდებულო მოთხოვნები:**
ტენდერში მონაწილე კომპანიებმა, უშუალოდ საპროექტო დოკუმენტების გარდა (რომლის შესახებ მოცემულია ამავე და თანდართულ დოკუმენტებში), უნდა წარმოადგინონ ქვემოთ ჩამოთვლილი დოკუმენტები ქართულ ენაზე:
** ტენდერში მონაწილეობის მსურველი ორგანიზაციის რეკვიზიტები (მისამართი, ტელეფონი, ელ. ფოსტა, საბანკო რეკვიზიტები);
** ტენდერში მონაწილეობის მსურველი კომპანიის ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან;
** ცნობა, სახელმწიფოს წინაშე დავალიანების არქონის შესახებ;
გთხოვთ, განაცხადი წარმოადგინოთ ამ განაცხადში მითითებულ ელ. ფოსტაზე

დაინტერესებულმა კომპანიებმა სატენდერო წინადადებები უნდა წარმოადგინონ ქართულ ენაზე. გთხოვთ, ელ. ფოსტაზე გამოგზავნილ შემოთავაზებას სათაურში მიუთითოთ „ბავშვთა გასართობი სივრცე".
სატენდერო წინადადების ჩაბარების ბოლო ვადაა: **2025 წლის 30 დეკემბერი.**
მომსახურების გაწევის ვადებია: **ხელშეკრულების გაფორმებიდან 100 დღე.**
განაცხადების ჩაბარება შესაძლებელია შემდეგ ელექტრონულ მისამართზე:
Magraanianwomens@gmail.com
ყველა დოკუმენტი და სატენდერო წინადადების ფასის ცხრილი ხელმოწერილი და ბეჭედ დასმული უნდა იყოს უფლებამოსილი პირის მიერ.

**შესასყიდი მომსახურების აღწერასთან დაკავშირებული ინფორმაცია**

1. მომსახურების შესყიდვის ობიექტია ახმეტის მუნიციპალიტეტის სოფელ მაღრაანში საბავშვო გასართობი სივრცის მოწყობის სამუშაოები.
2. ბავშვთა გასართობი სივრცე ეწყობა ერთ ლოკაციაზე, სივრცის ფართობი 100 კვ.მ.-ია (ლოკაცია წარმოდგენილია დანრთ N1)
3. სამუშაოები უნდა განხორციელდეს შემსყიდველის მიერ წარმოდგენილი საპროექტო დოკუმენტაციის შესაბამისად (იხ. მიბმული ფაილ(ებ)ი).
4. პრეტენდენტმა, სატენდერო წინადადების წარდგენისას, უნდა წარმოადგინოს შესასრულებელი სამუშაოების კალენდარული და თანხობრივი გეგმა-გრაფიკი (ხარჯთაღრიცხვებში წარმოდგენილი სამუშაოების გათვალისწინებით) კვირების მიხედვით;
5. მიმწოდებელი ვალდებულია სამუშაოები აწარმოოს კალენდარული გეგმა-გრაფიკის შესაბამისად.
6. მიმწოდებელი ვალდებულია სამუშაოები შეასრულოს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი სამშენებლო და გარემოსდაცვითი ნორმებისა და წესების დაცვით, საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შესაბამისად.
7. შესრულებული სამუშაოს ხარისხის საგარანტიო ვადა შეადგენს, საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 2(ორი) წელს.
8. ობიექტის ჩაბარების პროცესში, რაიმე წუნის (ნაკლოვანებები, დეფექტი) აღმოჩენის შემთხვევაში მიმწოდებელი ვალდებულია შეტყობინების მიღებიდან, შემსყიდველის მიერ განსაზღვრულ გონივრულ ვადაში, გამოასწოროს წარმოქმნილი ნაკლოვანება/დეფექტი საკუთარი ხარჯებით.

9. პრეტენდენტს უნდა ჰქონდეს ანალოგიური ტიპის, ხასიათის, სირთულის და შინაარსის სამუშაოების შესრულების გამოცდილება.
10. პრეტენდენტმა მსგავსი გამოცდილების პროექტის შესახებ ინფორმაცია უნდა წარმოადგინოს დანართი 2–ის სახით;
11. პრეტენდენტმა უნდა წარმოადგინოს მსგავსი, შესრულებული სამუშაოს დამადასტურებელი ვიზუალური მასალა (განხორციელებული პროექტები და ფოტომასალა), სულ ცოტა სამი ობიექტის შესახებ;
12. ანალოგიური ტიპის, ხასიათის, სირთულის და შინაარსის სამუშაოებს მიეკუთვნება: მთლიანი ან ნაწილობრივი სამოქალაქო მშენებლობისა და შენობის დასრულების სამუშაოები.
13. პრეტენდენტს აუცილებლად უნდა ყავდეს შესაბამის სფეროში საინჟინრო განათლების მქონე მინიმუმ - 1 (ერთი) სპეციალისტი, მუშაობის არანაკლებ 5 წლიანი გამოცდილებით. (წარმოსადგენია სპეციალისტის პირადობის დამადასტურებელი მოწმობის და საინჟინრო განათლების დამადასტურებელი დიპლომის ასლები). ინფორმაცია სპეციალისტების შესახებ წარმოდგენილი უნდა იქნას  დანართი N3-ის შესაბამისად.
14. გამარჯვების შემთხვევაში, შესყიდვის ობიექტზე წარმოდგენილი შესრულებული სამუშაოს აქტი (ფორმა N2) და მიღება-ჩაბარების აქტები დამოწმებული უნდა იყოს აღნიშნული სპეციალისტების მიერ, სხვა პასუხისმგებელ პირებთან ერთად.
15. გამარჯვების შემთხვევაში, დასრულებულ ობიექტზე წარმოდგენილი უნდა იყოს აკრედიტირებული საექსპერტო ორგანიზაციის დასკვნა უსაფრთხოების შესახებ.
16. ტენდერში მონაწილე პრეტენდენტმა უნდა წარმოადგინოს სამუშაოების შესრულების კალენდარული და თანხობრივი გეგმა-გრაფიკი დანართი N-4-ის მიხედვით, რომელიც იქნება ხელშეკრულების განუყოფელი ნაწილი;
17. სამუშაოები უნდა იყოს შესრულებული საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო და საქართველოში მოქმედი ნორმატიულ-ტექნიკური დოკუმენტების მოთხოვნების შესაბამისად, სამუშაოს შესრულების პროცესში ყველა გამოყენებული მასალა და მოწყობილობა უნდა იყოს ხარისხიანი და აკმაყოფილებდეს პროექტის მოთხოვნებს და საქართველოში მოქმედ ყველა სამშენებლო ნორმასა და სტანდარტს. მიმწოდებელმა უნდა უზრუნველყოს შესრულებული სამუშაოების და გამოყენებული მასალების ხარისხის დამადასტურებელი (აკრედიტირებული ორგანოს მიერ გაცემული) შედეგების/დასკვნების (კვლევების ხარჯებს იხდის მიმწოდებელი) წარმოდგენა და მათი მიკვლევადობა.
18. მომწოდებელმა წერილობით უნდა აცნობოს შემსყიდველს მოცემული ხელშეკრულების ფარგლებში, ყველა ქვეკონტრაქტორთან დადებული ხელშეკრულებების შესახებ და მიიღოს მისგან წერილობითი თანხმობა;
19. ქვეკონტრაქტორი კომპანია ან კომპანიები არ უნდა იყვნენ რეგისტრირებული სახელმწიფო შესყიდვებში მონაწილე არაკეთილსინდისიერ პირთა რეესტრში – „შავი სია“; წინააღმდეგ შემთხვევაში მოხდება პრეტენდენტის დისკვალიფიკაცია წინამდებარე ტენდერიდან დაზუსტების გარეშე.
20. ქვეკონტრაქტორ(ებ)ის მიერ შესასრულებელი სამუშაოების ჯამური მოცულობა არ უნდა აღემატებოდეს შესასრულებელი სამუშაოების მთლიანი მოცულობის 30%;
21. სამუშაოების ნაწილის ქვეკონტრაქტორ(ებ)ზე გადაცემით მიმწოდებელი არ თავისუფლდება ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებებიდან;
22. ხელშეკრულების ფარგლებში, მოთხოვნის შემთხვევაში, ყველა ქვეკონტრაქტორთან დადებული ხელშეკრულების ასლი უნდა წარედგინოს შემსყიდველს.

სხვა დამატებითი მოთხოვნები

1. მიმწოდებელი ვალდებულია შემსყიდველთან შეათანხმოს მასალების იერსახე და ხარისხი;
2. მიმწოდებელმა სამშენებლო/სარეაბილიტაციო სამუშაოების დაწყებამდე ტერიტორიაზე უნდა გადაამოწმოს საპროექტო ნიშნულები, ასევე სამშენებლო მოედანზე გადაამოწმოს საპროექტო ნახაზებში მითითებული ზომები და ნებისმიერი უზუსტობა აცნობოს შემსყიდველს;

3. სამუშაოების შესრულების ტექნიკურ ზედამხედველობას განახორციელებს შემსყიდველის მონიტორინგის და შეფასების ჯგუფი ადგილობრივი მუნიციპალიტეტის შესაბამისი სამსახურის მონიტორინგის და შეფასების ჯგუფთან ერთად.
4. სამუშაოს შესრულების პროცესში, მიმწოდებელმა უნდა უზრუნველყოს ხარისხისა და სამუშაოების მიმდინარეობის ზედამხედველობისა და კონტროლის განმახორციელებელ პირთა მიერ გაცემული, როგორც ზეპირი, ასევე წერილობითი რეკომენდაციების და მითითებების შესრულება;
5. მიმწოდებელმა ობიექტზე სამუშაოს დაწყებამდე უნდა განათავსოს საინფორმაციო დაფა ზომით არანაკლებ 1მX1მ; (საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილება) (საინფორმაციო დაფაზე დასატანი ინფორმაცია შემსყიდველთან შეთანხმებით);
6. სატენდერო წინადადებაში საერთო ფასი გამოსახული უნდა იყოს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესყიდვის ობიექტის მიწოდებასთან დაკავშირებული ყველა ხარჯისა და გადასახადის გათვალისწინებით.

**ეტაპობრივი ან/და საბოლოო ანგარიშსწორების განხორციელების პირობები**

1.ხელშეკრულების ფარგლებში ანგარიშსწორება იწარმოება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით, საქართველოს ეროვნულ ვალუტაში, ხელშეკრულებით გათვალისწინებულ რეკვიზიტებზე.
2. ანგარიშსწორება განხორციელდება ეტაპობრივად, არაუმეტეს თვეში ორჯერ, მიმწოდებლის წერილობითი მომართვის საფუძველზე;
3. თანხის გადახდის გრაფიკი დადგენილი იქნება მხარეთა შორის შეთანხმებით და მათ შორის დადებული ხელშეკრულების პირობებით;
4. ანგარიშსწორება განხორციელდება, შესრულებული სამუშაოს ხარისხზე, საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციასთან შესაბამისობაზე, მოცულობასა და ღირებულებებზე დაყრდნობით.

**შეფასების კრიტერიუმები**

შეფასების კრიტერიუმი მოიცავს, თუმცა არ შემოიფარგლება მხოლოდ შემდეგით:

- მომსახურების მოწოდების ხარისხი და შესრულება;
- მიწოდებული მასალის სისრულე;
- მაღალი ხარისხის მომსახურება;
- კონკურენტული ფასები მოთხოვნილი საქონლის/მომსახურების მიწოდების შესაძლებლობის დემონსტრირებით;
- მოთხოვნილი საქონლის/მომსახურების შეთანხმებული გრაფიკით მიწოდების შესაძლებლობა;
- მომწოდებლის უნარი გაითვალისწინოს ყველა ელემენტი და განსაზღვროს საბოლოო ფასი ქვეყნის მიხედვით, განსაზღვროს მიწოდების დრო და შეასრულოს ვალდებულებები;

**ტენდერის მნიშვნელოვანი პირობა:**

ბავშვთა გასართობი სივრცე უნდა იყოს ბავშვებისთვის უსაფრთხო და კომფორტული. ინვენტარი უნდა იყოს აპრობირებული და კანონით დადგენილი ნორმების დაცვით განთავსებული. შესრულებული სამუშაო უნდა აკმაყოფილებდეს ბავშვებისთვის უსაფრთხო გარემოს სტანდარტებს.

ორგანიზაცია შერჩეული კომპანიისგან წინასწარ მოითხოვს ნიმუშების ნახვას და შეთანხმებას. **საინიციატივო ჯგუფი "ქალების ძალა მაღრაანისთვის"** დაუკავშირდება მხოლოდ იმ კომპანიებს, რომლებმაც დააკმაყოფილეს სავალდებულო საკვალიფიკაციო მოთხოვნები. დამატებითი კითხვების შემთხვევაში შესაძლებელია მხოლოდ წერილობით დაკავშირება შემდეგი ელ-ფოსტის მისამართზე: **Magraanianwomens@gmail.com**
მომსახურების გაწევის ფასი არის კონფიდენციალური.

**სატენდერო წინადადების ფასი და რეკვიზიტები**

სატენდერო წინადადების ფასი (ლარი) -----------------------------------------------------------------------------------------------

(თანხა ციფრებით) (თანხა სიტყვიერად)

(პრეტენდენტის დასახელება) ------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------

მოწოდებული საქონელი/მომსახურება მაღალი ხარისხისაა და წინასწარ შეთანხმებულია შემსყიდველთან.

**დანართი # 1**

| | | |
|---|---|---|
| 1 | **პრეტენდენტის იურიდიული ფორმა და დასახელება** | |
| 2 | **ხელმძღვანელის სახელი და გვარი** | |
| 3 | **პრეტენდენტის იურიდიული ან/და ფაქტიური მისამართი** | |
| 4 | **საიდენტიფიკაციო კოდი** | |
| 5 | **პრეტენდენტის საკონტაქტო ტელეფონის ნომერი** | |
| 6 | **ელექტრონული მისამართი** | |

| | | |
|---|---|---|
| 7 | **საბანკო რეკვიზიტეი:**<br><br>**ბანკის კოდი, ანგარიშის ნომერი და ა.შ** | |

უფლებამოსილი პირის ხელმოწერა
-----------------------------------------

**დანართი**
**(ფასები წარმოდგენილია პროექტის დიზაინის მიხედვით, ერთი საბავშვო სივრცისთვის)**

| N | **დასახელება** | **რაოდენობა** | **ერთეულის ფასი** | **ჯამი** | |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | ტერიტორიის დამუშავება, საფუძვლის მოწყობა ღობისთვის | **1** | | | |
| 2 | ღობის მოწყობა და შეღებვა | **1** | | | |
| 3 | ტერიტორიაზე ბილიკების მოწყობა და მოპირკეთება, კაუჩუკის ზედაპირის კუნძულების მოწყობა | 1 | | | |
| 4 | ლამპიონი, მზის პანელზე | 4 | | | |

ფასები წარმოდგენილია დღგ-ს ჩათვლით

უფლებამოსილი პირის ხელმოწერა

-----------------------------------------------